შოთა ნიჟარაძე, ქეთევან დათუკიშვილი, ირაკლი ფირცხალავა, ქეთევანი გრძელიძე

სოფიას ტექნიკური უნივერსიტეტი, ბულგარეთი

,,19-25 მაისს, Erasmus+ მობილობის ფარგლებში, დავესწარით სოფიას ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კვირეულს. დამსწრე უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა გავაკეთეთ პრეზენტაციები, როგორც ჩვენი კვლევის სფეროს, ასევე ზოგადად უნივერსიტეტების შესახებ.

ძალიან საინტერესო იყო რეგიონში სხვა უნივერსიტეტების საქმიანობის, კვლევითი სფეროს და ტექნიკური მიდგომების შესწავლა. გარდა ამისა, Erasmus+-ის გაცვლითი პროგრამით სოფიას ტექნიკურ უნივერსიტეტში მყოფმა სტუდენტებმა მოამზადეს პრეზენტაციები მათი გამოცდილების და სწავლის სფეროების შესახებ.

ვიზიტის მიმდინარეობისას გაიმართა დისკუსია მონაწილე და მასპინძელი უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან ტექნოლოგიების სფეროს განვითარების, სტუდენტების მოტივაციისა და თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ. ვიზიტის განმავლობაში, ასევე მონაწილეობა მივიღეთ კულტურულ ღონისძიებებში, გავეცანით ბულგარეთის ისტორიას, ახლანდელ მოცემულობას, დავათვალიერეთ სოფიას და პლოვდივის კულტურული ღირსშესანიშნაობები.

ვფიქრობთ, მსგავსი ტიპის მობილობა ხელს უწყობს როგორც პერსონალს და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას, ასევე შესაძლებლობების გაზრდასა და ცოდნის, გამოცდილების გაღრმავებას. ვიზიტის დროს ჩამოყალიბებული ურთიერთობები პროფესიულ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისა და ინოვაციური პროექტების განხორციელების შესაძლებლობას მოგვცემს.''